<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აპრილი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ორხევის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭოს ორხევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

NAPR
1 : 3601

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სახელდების და სიმბოლოს
კომისიის თავმჯდომარეს ბატონ მიხეილ ამაშუკელს
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გამცხადებელი : ჯამილა ჩაჩხალია პ/ნ 01009023218

მცხოვრები ქ. თბილისი აგარაკების ქ. 22

ბატონო მიხეილ,

სამგოროის რაიონში ახვლედიანის მეცხრე ჩიხის და სამხედრო ნაწილის მიმდებარედ დიდ ტერიტორიაზე ს/კ -ზე 01.19.16.002.140, 01.19.16.002.181, 01.19.16.002.103, 01.19.16.002.142, 01.19.16.002.137, 01.19.16.004.002 ფუნქციონირებს რამოდენიმე მსხვილი შეზღუდული პასუხისმგებელი საწარმო. აღნიშნულ მიწის ნკვეთებამდე შედის სერვიტუტით დატვირთული მეორე ხარისხოვანი გზა, მაგრამ ამ ობიექტებს არ აქვს იურიდიული მისამართი და ხშირ შემთხვევაში მომხმარებელი ვერ გვაგნებს და გვექმნება პრობლემები.

გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ აღნიშნული საკითხი და ამ გზას მიანიჭოთ სახელი და ყველა საკადასტრო კოდებზე განლაგებულ შენობა- ნაგებობას - იურიდიული მისამართი.

პატივისცემით,

ახვლედიანის მეცხრე ჩიხის

და სამხედრო ნაწილის მიმდებარედ

არსებული შპს-ს მფლობელები.

შემსრულებელი :

ჯამა ჩაჩხალია

ტელ : 595 50 20 31

4

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032125648**
თარიღი: **13/09/2021**
პინი: **6587**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მოქალაქე ჯამილა ჩაჩხალიას 2021 წლის 19 ივლისის საქმე #19/032120029-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს სამგორის რაიონში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და განცხადებაში მითითებული საკადასტრო ერთეულების მიხედვით გამოგვიგზავნოთ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0121265158**
თარიღი: **22/09/2021**
პინი: **8570**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ მიხეილ ამაშუკელს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო მიხეილ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 13.09.2021 წლის #03-032125648 (13.09.2021წ. #14-01212563570-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი